



სახელმწიფოს 2011 წლის 26 მაისის აქციის მონაწილის მიმართ მორალური ზიანის ანაზღაურება დაეკისრა

სახელმწიფოს 2011 წლის 26 მაისის აქციის მონაწილის მიმართ მორალური ზიანის ანაზღაურება დაეკისრა. გადაწყვეტილება თბილისის საქალაქო სასამართლომ მიიღო, რომელმაც დაადგინა რომ, 2011 წლის 26 მაისს ქ. თბილისში, რუსთაველის გამზირზე გამართული მიტინგის მონაწილის მიმართ უფლებების დარღვევას ჰქონდა ადგილი.

მოსარჩელე სამართალდამცველების მხრიდან ღამით მიტინგის დაშლისას ძალის გამოყენებაზე დავობდა, რაც სასამართლომ მიიჩნია არაპროპორციულ და გაუმართლებელ საპოლიციო ღონისძიებად. ამასთან, მოსარჩელე დაკავების შემდგომ გადაყვანილ იქნა დროებითი მოთავსების იზოლატორში, სადაც ერთი მხრივ, იგი კვლავ დაექვემდებარა არასათანადო მოპყრობას და მეორე მხრივ, მას რამდენიმე დღის განმავლობაში არ მიეცა სათანადო სამედიცინო მომსახურებით სარგებლობის

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION



შესაძლებლობა, რამაც კიდევ უფრო დაამძიმა დაზარალებულის ჯანმრთელობის მდგომარეობა.

მორალური (არაქონებრივი) ზიანის ანაზღაურება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დაეკისრა.